ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 44

1 თებერვალი 2019 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

მოწვეული სტუმარი:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე,დავით უთმელიძე; ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე, გოჩა თევდორაძე.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი: საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილი (№15-031902974-03) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გლდანის რაიონში 02.09.10 კოდით ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

საკითხი კომისიის წევრებს გააცნო ლევან მიქავამ. მან აღნიშნა, რომ გლდანის რაიონის გამგეობა ითხოვს 2.09.10 კოდით პროგრამის ფარგლებში ასიგნებების მუხლობრივ ცვლილებას. სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯებს ემატება 355707,29 ლარი, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების 200 000 ლარით და არაფინანსური აქტივების 155 707,29 ლარით შემცირების ხარჯზე. როგორც გამგეობა წერილობით განმარტავს, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო რამოდენიმე მისამართზე ავარიული აივნების მოწყობის სამუშაოების განხორციელება. საპროექტო ორგანიზაციის მიერ განხორციელდა პროექტების კორექტირება ექსპერტიზის შენიშვნების გათვალისწინებით, კონსტრუქციული ნაწილი მოვიდა თანხვედრაში შენობის სეისმურობასთან დაკავშირებით და გამგეობაში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა ავარიული აივნების აღდგენა-გამაგრების საპროექტო დოკუმენტაცია. გაუთვალისწინებელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე პრიორიტეტულად განისაზღვრა აღნიშნული სამუშაოების განხორციელება. გარდა ამისა ეკლესიების ფინანსური დამარებისათვის გათვალისწინებული თანხები განწერილი იყო „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების“ მუხლით, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით კი განეკუთვნება „სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯებს' და ხდება შესწორება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8. გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით „კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში“(კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ფარგლებში

გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ“,სადაც გლდანის რაიონის გამგეობა ითხოვს პროგრამაში „კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში“ სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების მუხლის გაზრდას 355 707,29 ლარით, სვადასხვა მიმდინარე ხარჯების 200 000,0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლის 155 707,29 ლარით შემცირებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის დანართის შესაბამისად** „კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში“(კოდი 02 09 10) **ქვეპროგრამის ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ზარქუა